MES 9 23 0000614693

30/05/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 15 მაისს 11:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/82460919274?pwd=cUVYREdEZjZ1Q1Bad0VYd1RaMnFtdz09
Meeting ID: 824 6091 9274
Passcode: 412550

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნინო შუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტის მენეჯერი (კონსულტანტი) (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში" ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი
სულხან სულხანიშვილი - დირექტორი
თინათინ ენდელაძე - დირექტორის მოადგილე
მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრი
მაკა ცერცვაძე - დირექტორი
თეონა ოსიყმაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
თეა ოშხერელი - პროგრამის განმახორციელებელი პირი
ანი აგლაძე - პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია შპს „ინვესტის" HR

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:
აკაკი შეყელაძე
ირმა არსენაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენელს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კიბერუსაფრთხოება“ /01591/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრის „ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01620/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კიბერუსაფრთხოება“ /01591/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ლანა გაჩეჩილაძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 13 აპრილის №416664 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლანა გაჩეჩილაძემ და დარგის ექსპერტმა აკაკი შეყელაძემ განახორციელეს ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მის: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „კიბერუსაფრთხოება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.
ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ორი რეკომენდაცია 1.6 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში
1.6 ქვესტანდარტი - რეკომენდებულია სასწავლო თემატიკაში დაემატოს: აქცენტი გაკეთდეს კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების მართვაზე და კიბერუსაფრთხოებაში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებზე (ფიშინგ კამპანიების წარმოება, ტრენინგ-კურსების ორგანიზება/ჩატარება, წერილობითი ცნობების მომზადება).
2.3 ქვესტანდარტი - სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით რეკომენდებულია, საჭიროების შემთხვევაში, მსმენელებს სასწავლო მასალები მიეწოდოთ ქართულ ენაზე. აგრეთვე, სასწავლო რესურსებს დაემატოს დარგის ერთ-ერთი უახლესი სახელმძღვანელო რეპუტაციული გამოცემით, The Cyber Security Body of Knowledge, The National Cyber Security Centre, 2021, 1067p ხელმძღვანელობის შესახებ.
ლანა გაჩეჩილაძემ მოკლედ მიმოიხილა ექპერტთა ვიზიტისას განხორციელებული აქტივობები, რომელთა ფარგლებში ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის შემუშავების და მისი ადმინისტრირების საკითხებზე. შემდეგ მან ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა არის პროფესიული გადამზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 24, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 40, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6.
პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია მომზადდეს კიბერუსაფრთხოების დამწყები სპეციალისტები (junior cyber security specialists), რომელთაც ექნებათ საბაზისო ცოდნა და უნარები კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში დასაქმებისთვის.
პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის 80% ეთმობა.
შემდეგ ლანა გაჩეჩილაძემ ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროგრამის საჭიროების დასაბუთება, რომლის თანახმად საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულმა კოლეჯმა PMCG გრანტი მოიპოვა, რომელიც ემსახურებოდა აღნიშნული პროგრამის შექმნას და განვითარებას, დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ითანამშრომლა კომპანია GreenNet-თან, რომლებიც ჩართულები იყვნენ პროგრამის შინაარსის ფორმულირებაში, აღნიშნული კომპანია დღეს საქართველოში მოწინავე IT ინტეგრატორი ორგანიზაციაა, რომელიც იკვლევს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით, ასევე აღნიშნული კომპანიის მოთხოვნაც იყო, რომ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ყოფილიყო სერტიფიცირებული კადრი.
აღნიშნული მიმართულებით დღეს საქართველოში არ არსებობს კიბერუსაფრთხოების ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულ პირს მისცემს საშუალებას, რომ გააჩნდეს კიბერუსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაცია. „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტის განსაზღვრა, რომელიც უნდა იყოს მუდმივი თანამშრომელი, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის ხდება სავალდებულო.

დღეს საქართველოს ბაზარზე, არ არსებობს არც პროფესიული და არც უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელიც გასცემს აღნიშნულ კვალიფიკაციას ან/და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, შესაბამისად დადგენილებისა და დღეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მდგომარეობა კვალიფიციური კადრების შესახებ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნულ პროგრამაზე იქნება საკმაოდ დიდი მოთხოვნა, არამხოლოდ ინდივიდუალურად დაინტერესებული პირებისაგან, არამედ კომპანიებისაგან, რომლებსაც ენდომებათ და უფრო მეტიც, საჭირო იქნება მათი ფუნქციონირებისათვის ჰყავდეთ კიბერუსაფრთხოების მიმართულებით მცოდნე კადრი, რომელიც იქნება სერტიფიცირებული და კვალიფიკაციას დაადასტურებს.
აღნიშნული პროგრამა გადის ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიებში (061) და ეს სფერო რომ მოთხოვნადი და აქტუალურია, ამას ადასტურებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიზნით 2022 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ, რომლის თანახმადაც, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (061) ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, ასევე დარგობრივი ცოდნა/გამოცდილება, კერძოდ, დარგობრივი ცოდნა/გამოცდილების დასადასტურებლად შესაძლებელია:
ა) ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ვიწრო სფეროს (061) მიმართულებით მიღებული პროფესიული, მათ შორის მომზადება/გადამზადების პროგრამების ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის/სახელწიფო სერტიფიკატის წარდგენა;
ბ) ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ვიწრო სფეროს (061) მიმართულების შესაბამის პოზიციაზე მუშაობის/სტაჟირების არანაკლებ 6 თვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა;
გ) „ა“ ან/და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს მსურველებისთვის ტესტირების ჩატარებას ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ვიწრო სფეროს მიმართულებით საბაზისო საკითხების და ინგლისური ენის B1 დონის შესაბამისი (სფეროსთან კავშირში) ცოდნის შესამოწმებლად. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება.

სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ამ პროგრამისთვის ძირითადად ინგლისურენოვანი ლიტერატურა, აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის კომპეტენცია, რომ სასწავლო რესურსებზე წვდომა შეძლოს. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია მსმენელებს სასწავლო რესურსები მიეწოდოს ჰენდაუთების სახით ქართულ ენაზე და სასწავლო რესურსს დაემატოს ასევე დამატებით სახელმძღვანელო - The Cyber Security Body of Knowledge, The National Cyber Security Centre, 2021, 1067p ხელმძღვანელობის შესახებ. დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ დაგეგმილი აქვთ ჰენდაუთების თარგმნა და მომზადება სასწავლო პროცესის დაწყებამდე.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებია:

1. კიბერუსაფრთხოების გარემოს ანალიზი
2. კიბერუსაფრთხოების ხელშემწყობი ჩარჩოების ანალიზი
3. კიბერინციდენტების, სისუსტეებისა და საფრთხეების კვლევა და ანალიზი
4. კიბერინციდენტების გამოვლენისა და პრევენციის სისტემების, ხელსაწყოების ანალიზი, მონიტორინგი
5. კიბერინციდენტებზე რეაგირება, ელექტრონული მტკიცებულებების დამუშავება
6. ოპერაციული სისტემების მართვა
7. პროგრამული უზრუნველყოფის მართვა
8. ქსელური ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მართვა

პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ კოლეჯში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე, დაწესებულებას 3 მოკლევადიან პროგრამაზე მოპოვებული აქვს განხორციელების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ განხორციელება არ დაუწყიათ.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 20 განმახორციელებელი პირი, ვიზიტის დროს მოხდა მათთან გასაუბრება, კოლეჯს საკმაოდ გამოცდილი კადრები აქვს შერჩეული, როგორც აღინიშნა, თავდაპირველად ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო 16 პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ხელშეკრულებები, ხოლო ვიზიტის დროს დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა 4 განმახორციელებელი პირის დოკუმენტაცია და ხელშეკრულებები. განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია ერთწლიანი ხელშეკრულებები, შემდგომ თანამშრომლობას ეს პირები ადასტურებენ.
დაწესებულება ითხოვს 40 მსმენელს ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში 20-20 მსმენელი.
შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა აკაკი შეყელაძემ. მან მადლობა გადაუხადა ლანა გაჩეჩილაძეს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ პირველი, რაც ეხება პროგრამის მიზნობრიობას, მიზნობრიობა არის მისაღები და მისასალმებელი, ვინაიდან ის გამყარებულია საქართველოს კანონით ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რომლის მიხედვით დგინდება, რომ საქართველოში არსებულ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებს განსაზღვრული უნდა ყავდეთ კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი.
მან აღნიშნა, რომ ბაზარზე არის კადრების ნაკლებობა კიბერუსაფრთხოების კუთხით, ამასთანავე აკადემიური განათლების შესაძლებლობები კიბერუსაფრთხოებაში არის ძალიან შეზღუდული და შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა იქნება პირველი ამ მიმართულებით, მან დასძინა, რომ მისაღებია პროგრამის ხანგრძლივობა, ვინაიდან სტრუქტურა იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ დამწყებმა სპეციალისტებმა ამ სფეროში მიმოიხილოს საჭიროებები.
ვიზიტის დროს იყო კითხვები სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ, შეფასების სისტემა დარგის ექსპერტმა მიიჩნია ადეკვატურად. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული სახით. ადამიანური რესურსს რაც შეეხება, დაწესებულების პროგრამის განმახორციელებლების ნაწილი არის კიბერუსაფრთოების ექსპერტი, ხოლო ნაწილი დასაქმებულია ციფრული მმართველობის სააგენტოში და ფრიად საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწევა.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით იყო შეკითხვა, რაზეც მიღებულ იქნა პასუხი, რომ გასაუბრების დროს მოხდება დაზუსტება. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ისწავლიდნენ თუ არა მსმენელები შეღწევადობის ტესტირებას, გაეცნობოდნენ თუ არა ინციდენტების მართვის გეგმას, ინციდენტების ანგარიშის წერას, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან მიღებული იქნა ამომწურავი პასუხი. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ამ პროგრამისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა, ინციდენტების მართვასთან დაკავშირებით ყურადღების მიქცევა. სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით მიეცა რჩევა დაწესებულებას, რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის.
დარგის ექსპერტის აზრით, მსმენელმა კომპიუტერული სისტემების ინციდენტების მართვა უნდა შეძლოს თავისი ყველა ეტაპის გავლით, ვინაიდან კურსის თემატიკაში ჩანს ყოველი ამ ეტაპის შემსწავლელი თემატიკა, ეს ადასტურებს იმას, რომ აღნიშნული პროგრამა წარმატებით განხორციელდება.
დარგის ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ ზოგადად, კიბერუსაფრთოხება არის ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობა, აქ უნდა იყოს ჩართული როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორი.
ბოლოს მან დასძინა, რომ მიესალმება დაწესებულების გადაწყვეტილებას ამ პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესოდ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული პროგრამა, მან დასძინა განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით, რომ 20

განმახორციელებელი პირი საკმაოდ მოქნილად და წარმატებით განახორციელებს ამ პროგრამას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ კომენტარის გაკეთების სურვილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დარგის ექსპერტმა ისეთი კუთხით დაანახა აღნიშნული პროგრამა, რომ ამ რჩევებს აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის „კიბერუსაფრთხოება“ /01591/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 405318570) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - კიბერუსაფრთხოება /01591/ **(დანართი).**

2. შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრის „ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01620/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა არსენაშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 24 აპრილის №448610 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტმა ირმა არსენაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2023 წლის 3 მაისს განახორციელეს ვიზიტი შპს პროფესიული განვითარების აკადემიურ ცენტრში, ქ. თბილისში, სადაც განთავსებულია

აღნიშნული პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ვეტერინარული აფთიაქის/ზო-ო-მაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება ცენტრის დირექტორთან (დამფუძნებელთან), სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან (თანადამფუძნებელთან), ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო
მატერიალური და სასწავლო რესურსი, მოხდა გასაუბრება პარტნიორ კომპანიებთან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.
ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში
1.6 ქვესტანდარტი - პროგრამაში, რამდენიმე კვირის (პირველი, მეორე კვირა) თემატიკა თანხვედრაში არ არის სწავლის შედეგებთან, როგორც ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, გასწორებული ვარიანტის ნაცვლად, შეცდომით იქნა ატვირთული სხვა ვერსია.
ვიზიტის დროს რეკომენდაციები არ გაცემულა, ადგილზე შესწორდა მსმენელთა შეფასების წესი.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა ინფორმაცია დაწესებულების შესახებ და აღნიშნა, რომ შპს პროფესიული განვითარების აკადემიურ ცენტრს (ადრინდელი სახელწოდება - „ქართულ-კანადურ საგანმანათლებლო ცენტრი“), გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება კადრების მომზადება-გადამზადებაში ბიზნეს ტრენინგების, უცხო ენების, ტექნოლოგიური პროგრამების და სხვა მიმართულებებით. ცენტრმა მუშაობა დაიწყო 2010 წელს. ოფიციალურად დარეგისტრირდა როგორც შპს, 2013 წელს. ცენტრი დაკომპლექტებულია კვალიფიციური ქართველი და უცხოელი კადრებით სხვადასხვა მიმართულებებით.
საგანამანათლებლო ცენტრის პროგრამებით სარგებლობენ, როგორც თვითდაფინანსებადი ფიზიკური პირები, ასევე კომპანიები. თანამშრომლობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ჰყავთ გადამზადებული კადრები სხვადასხვა მიმართულებებით. ახდენენ კორპორატიული ტრენინგების ჩატარებას როგორც მათ სასწავლო ცენტრში, ასევე ადგილზე - დამკვეთ კომპანიაში. აქვთ ტრენინგების ჩატარების გამოცდილება და შესაძლებლობა რეგიონებშიც. გარდა ამისა, ტრენინგების გარკვეული ნაწილის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის ხდება დისტანციურად, ონ-ლაინ ტექნოლოგიით და შესაბამისი სასწავლო პროგრამით. დაწესებულება პირველად შემოდის არაფორმალურიდან ფორმალურ განათლებაში.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება; ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში - 16 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 50; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კედიას ქ. №10.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მეცხოველეობის განვითარებამ, ასევე შინაური ცხოველების მომრავლებამ მოსახლეობაში გააჩინა საჭიროება, რომ გახსნილიყო ახალი ვეტერინარული აფთიაქები და ზოომაღაზიები. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის №345 დადგენილების მე-3 მუხლი ძალაში შევიდა 2020 წელს, რაც ითვალისწინებს, რომ ვეტერინარულ აფთიაქებში და ზოომაღაზიებში ვეტერინარული საქმიანობა უნდა განახორციელოს აუცილებლად ვეტერინარმა/ვეტერინარმა ტექნიკოსმა, რამაც ბაზარზე გააჩინა ვეტერინარებზე მზარდი მოთხოვნილება. კადრების დიდი დეფიციტია ვეტერინარულ აფთიაქებსა და ზოომაღაზიებში. აღსანიშნავია, რომ თბილისში არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება არ არსებობს, სადაც

მზადდებიან ვეტერინარ-ტექნიკოსები ან მსურველები გაივლიან ,,ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარ ტექნიკოსის“ მოკლევადიან მოსამზადებელ კურსს ფარმაციის მიმართულებით ვეტერინარულ აფთიაქსა და ზოომაღაზიაში დასაქმებისთვის.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის მიზანია ბაზრისთვის კონკურენტული და კვალიფიციური კადრების მომზადება ვეტერინარულ აფთიაქში და ზოომაღაზიაში პროფესიულ პოზიციაზე: ვეტერინარი - ტექნიკოსი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს ვეტერინარულ პრეპარატებთან და ცხოველთა საკვებთან დაკავშირებით დახმარება და კონსულტაცია გაუწიოს მომხმარებელს, აუწონოს, დაუფასოვოს და მოახდინოს პროდუქციის ეტიკეტირება, შეძლოს ვეტერინარული პრეპარატების, ცხოველთა საკვების და მოვლა - შენახვის საშუალებების დასაწყობება, განლაგება ვეტერინარული აფთიაქის და ზოომაღაზიის სავაჭრო დარბაზში შენახვის პირობების გათვალისწინებით, აწარმოოს დოკუმენტაცია პროდუქციასთან დაკავშირებით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა - გასაუბრება.
წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებია:
1. ვეტერინარულ აფთიაქში და ზოომაღაზიაში მომხმარებლისთვის დახმარების გაწევა ვეტერინარულ პრეპარატების, ცხოველთა საკვების და მოვლის საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით პროფესიული ეთიკის და დეონტოლოგიის საკითხების დაცვით.
2. ვეტერინარული პრეპარატების, ცხოველთა საკვების ორიგინალური პირველადი შეფუთვების და კანონმდებლობით დაშვებული სამკურნალწამლო ფორმების მცირე პარტიებად დაფასოება და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მარკირება.
3. მომხმარებლისათვის კომპეტენციის შესაბამისად რჩევის მიცემა ვეტერინარულ პრეპარატის გამოყენების და ცხოველის კვებასთან დაკავშირებით.
4. ვეტ.პრეპარატების და ცხოველთა საკვების ეტიკეტისა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად შენახვა-დასაწყობება და განთავსება ვეტერინარულ აფთიაქში და ზოომაღაზიაში.
5. ვეტერინარულ აფთიაქში და ზოომაღაზიაში დოკუმენტაციის წარმოებაში მონაწილეობა.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული კურსი განკუთვნილია პირებისთვის, რომლებიც ფლობენ მინიმუმ სრულ ზოგად განათლებას. პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 16 კვირას (თექვსმეტი). სულ საათების რაოდენობაა 120 სთ, კვირეული დატვირთვა 6-12 საათი.. ბოლო კვირა დათმობილი აქვს განმსაზღვრელ შეფასებას. სწავლების თეორიული ნაწილი განხორციელდება დაწესებულებაში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი გათვალისწინებულია პარტნიორი ორგანიზაციების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია.
სასწავლო პროცესში გამოყენებულია შემდეგი სწავლების მეთოდები - ინტერაქტიული ლექცია; პრაქტიკული სავარჯიშო; დისკუსია; დემონსტრირება; პრაქტიკული მეცადინეობა.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ჰყავს სამი პარტნიორი: შპს ინვეტი, შპს მეგავეტი და ი/მ მ. ხ.
დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით (ი/მ მ. ხ. მიიღებს თვეში მაქსიმუმ 4 სტაჟიორს,; შპს ,,მეგავეტი“ თითოეულ ფილიალში (ორი) მიიღებს თვეში მაქსიმუმ 8 სტაჟიორს, შპს ,,ინვეტი“ თავის ხუთ ფილიალში მიიღებს 8 სტაჟიორს) პრაქტიკული კომპონენტი ყველა პარტნიორ ორგანიზაციაში განხორციელდება კვირაში სამჯერ, დღეში 4 საათი, პრაქტიკის/სტაჟირების ფარგლებში მსმენელებს წვდომა ექნებათ ზოო-ვეტ აფთიაქებში განთავსებულ ნებისმიერ პროდუქციაზე, გაეცნობიან აფთიაქში არსებულ ვეტერინარულ პროდუქციას, შეძლებენ მომხმარებლისთვის დახმარების გაწევას ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების, ცხოველთა საკვების და

მოვლის საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით პროფესიული ეთიკის და დეონტოლოგიის საკითხების დაცვით, ექნებათ შესაძლებლობა მომხმარებლისათვის კომპეტენციის შესაბამისად რჩევის მიცემის, ვეტერინარული პრეპარატის გამოყენების და ცხოველის კვებასთან დაკავშირებით აფთიაქის მენეჯერის/ფარმაცევტ ვეტერინარი-ტექნიკოსის ზედამხედველობის ქვეშ. მიიღებენ მონაწილეობას ზოო-ვეტ აფთიაქის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროცედურებში, მათ შორის აფთიაქში ვეტპრეპარატების და ცხოველთა საკვების ეტიკეტისა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად შენახვა-დასაწყობებასა და განთავსებაში.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია სამი წლით, რომელიც ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში ისევ სამი წლით გაგრძელდება.

შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისას, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა აქტიურად იქნება გამოყენებული.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი - ,,ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსის“ პროფესიული მომზადების მოკლევადიან სასწავლო პროგრამაზე მსმენელთა შეფასების წესი“, დამტკიცებული 2023 წლის 15 თებერვალს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრის დირექტორის მიერ. წესი წარმოადგენს ,,ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარ ტექნიკოსის“ პროფესიული მომზადების მოკლევადიან სასწავლო პროგრამაზე მსმენელთა მიერ მიღებული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასება - დადასტურების საშუალებას.

სასწავლო პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული საკითხების (თემატიკა) ათვისების ხარისხი და მათი შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან ფასდება ორი კომპონენტით:

1. ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობაზე აქტივობა - მაქსიმალური 60 ქულა.
2. ფინალური გამოცდა - მაქსიმალური - 40 ქულა. ფინალური გამოცდა ჩატარდება 2 საათი და შედგება ტესტისა (20 ქულა-20 საკითხი) და ღია შეკითხვებისაგან (20 ქულა - 4 საკითხი 5 ქულიანი).

დადებითი შეფასების შემთხვევაში, ჯამურ შეფასებაში მინიმუმ 61%-ის მიღებისას მსმენელს გადაეცემა ,,ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარ ტექნიკოსის“ კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ვიზიტის დღეს ორგანიზაციას მიეცა რეკომენდაცია, შეფასების წესში გაიწეროს მსმენელის განმეორებითი შეფასებისა და გასაჩივრების შესახებაც, აღნიშნული გამოსწორებულ იქნა ვიზიტის დღეს, შეტანილ იქნა ცვლილება შეფასების წესში.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. დაწესებულებას პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს სამი პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომითა და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა ორ განმახორციელებელთან გასაუბრება, აღნიშნულ პირებს გამოცდილებასთან ერთად აქვს დიდი მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას სურს პროგრამაზე მიიღოს 50 მსმენელი რამდენიმე ცვლის გათვალისწინებით. ამისთვის ცენტრს გააჩნია 3 აუდიტორია თეორიული/პრაქტიკული კომპონენტის სწავლებისათვის, თითოეული აუდიტორია აღჭურვილია მსმენელებისთვის და მასწავლებლისთვის განკუთვნილი ყველა საჭირო ინვენტარით. ერთი აუდიტორია

გათვლილია ერთჯერადად 8 მსმენელზე. დანარჩენი ორი აუდიტორია ერთჯერადად 7-7 მსმენელზე.
მსმენელთა სტაჟირების მიზნით, პროფესიული განვითარების აკადემიურ ცენტრს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ვეტერინარული აფთიაქების/ზოომაღაზიების მფლობელ ორგანიზაციებთან/პრაქტიკის ობიექტებთან. ჯამში 8 ვეტერინარული აფთიაქი/ზოომაღაზია, სადაც ერთდროულად შესაძლებელია 50 მსმენელის გადანაწილება სტაჟირებისთვის (ერთ აფთიაქში/მაღაზიაში მაქსიმუმ 8 მსმენელი თვეში).
ცენტრი თავადაც ფლობს სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო ინვენტარს.
ერთდროულად ცენტრი მიიღებს მაქსიმუმ 7 ჯგუფს (ჯამში 50 მსმენელს). თითოეულ ჯგუფთან თეორიული კომპონენტი ჩატარდება კვირაში ორჯერ, სამ-სამი საათი. შესაბამისად, 7 ჯგუფი გადანაწილდება სამ განმახორციელებელ პირზე განსაზღვრული დღეებისა და საათების მიხედვით, წინასწარი შეთანხმებით.
სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 23 იანვრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი სათანადო ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა და მოწყობილობების გამოცდის აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობები და სისტემები შესაბამისობაშია.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტი ძირითადად არ ექვემდებარება შემოწმებას, რადგან დაწესებულება არაფორმალურიდან პირველად შემოდის ფორმალურ განათლებაში, თუმცა აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია, როგორიცაა ხარისხის მექანიზმები, მსმენელის შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მართვის წესი, დოკუმენტი მსმენელთა შეფასების შესახებ, რომელიც შეფასდა, როგორც შესაბამისობაში და 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტები გამოცდილების არ არსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს დარგის ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ თავისთავად ძალიან საინტერესოა წარმოდგენილი პროგრამა და პროგრამის საჭიროების დასაბუთებიდანაც ჩანს, რომ კვალიფიციური მომსახურება ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა №345 დადგენილების მიხედვით, რომელსაც, როგორც მან აღნიშნა გაეცნო, არის ასეთი ჩანაწერი, რომ ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში უნდა იყოს დასაქმებული ვეტერინარ-ტექნიკოსები, თუმცა კონკრეტულად ვეტერინარ-ტექნიკოსი ვინ არის და რა კომპეტენციის უნდა იყოს, არ ჩანს. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, პირმა უნდა შეძლოს ვეტერინარულ აფთიაქში და ზოომაღაზიაში მომხმარებლისთვის დახმარების გაწევა ვეტერინარულ პრეპარატების, ცხოველთა საკვების და მოვლის საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით, ვეტერინარული პრეპარატების, ცხოველთა საკვების ორიგინალური პირველადი შეფუთვების და კანონმდებლობით დაშვებული სამკურნალწამლო ფორმების მცირე პარტიებად დაფასოება, მომხმარებლისათვის კომპეტენციის შესაბამისად რჩევის მიცემა ვეტერინარულ პრეპარატის გამოყენების და ცხოველის კვებასთან დაკავშირებით.
როგორც მან აღნიშნა, კომპეტენციის ფარგლები ცოტა ბუნდოვანია, ვინაიდან კომპეტენცია შეიძლება იყოს ძალიან ფართო, ან ძალიან ვიწრო, რას გულისხმობს ამ შემთხვევაში კომპეტენცია ძალიან მნიშვნელოვანია, ვეტერინარი უმაღლესი კვალიფიკაციაა და შესაბამისად მისი აზრით, ვეტერინარი ამ პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელი ვერ გამოვა, ასევე, საყურადღებოა ის ფაქტი, თუ სად არის განმარტებული ვეტერინარ-ტექნიკოსის მნიშვნელობა, აღნიშნული პროგრამა სწავლის შედეგების მიხედვით უფრო არის კონსულტანტი, რომელმაც

ზუსტად იცის რას ყიდის და მიმართა დარგის ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა ამასთან დაკავშირებით.
სანამ დარგის ექსპერტი გასცემდა პასუხს, საბჭოს წევრმა თეა გულუამ აღნიშნა, რომ ანალოგიური ხასიათის კითხვა ჰქონდა, თან იმის გათვალისწინებით, რომ პრეზენტაციის დასაწყისშიც აღინიშნა, რომ ვეტერინარ-ტექნიკოსი არის მეხუთე/უმაღლესი დონე პროფესიულ განათლებაში, და რამდენადაც ვეტერინარია რეგულირებადი პროფესიაა, ასევე, მოთხოვნილია ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოო-მაღაზიებში მუშაობდეს ვეტერინარ-ტექნიკოსი, რაც ცოტა დამაბნეველია. როგორც აღინიშნა პრეზენტაციაში, სახელწოდება დაკორექტირდა და ჩაემატა ვეტერინარული აფთიაქი.
თეა გულუა დაინტერესდა, რამდენად მოდის ეს შესაბამისობაში რეგულირებასთან, თუკი დასაქმება ითხოვს მეხუთე საფეხურის ადამიანს ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში, მაშინ მომზადების პროგრამით განსწავლული მსმენელი რამდენად დააკმაყოფილებს იმ კომპეტენციებს, რა კომპეტენციებიც ამ პროფესიას ჭირდება.
საბჭოს თავმჯდომარემ გაიზიარა საბჭოს წევრების მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ განაცხადა, რომ ისიც არ ეთანხმებოდა პროგრამის სახელწოდებას და დასძინა, რომ სახელწოდება შეიძლება ფორმულირდეს შემდეგნაირად - ვეტერინარულ აფთიაქების/ზოომაღაზიების კონსულტანტი, რომელიც ჩვეულებრივად უწევს კონსულტაციას, რაც ასახულია სწავლის შედეგებში, მან დასძინა, რომ ცოტა არ იყოს მიზანი, სახელწოდება და თემატიკა არ არის შესაბამისობაში.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ მან ვიზიტის დროსაც და პრეზენტაციის დასაწყისშიც დააფიქსირა თავისი პოზიცია, მათ გაუჩნდათ კითხვები პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით, რომ არ ყოფილიყო წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება შეცდომაში შემყვანი. ვინაიდან ვეტერინარ-ტექნიკოსი არის ფართო მცნების, უმაღლესი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სამწლიანი, იქ არის გაწერილი ყველა ნიუანსი და აბსოლუტურად ყველა ის 20 მოდულია წარმოდგენილი, რომელიც არის საფუძველი პროფესიულ სტუდენტს მიენიჭოს კვალიფიკაცია ვეტერინარი, სწორედ ამიტომ იქნა შეთავაზებული დაწესებულებისთვის, რომ ყოფილიყო სახელწოდებაში კონსულტანტი, რომელიც უფრო ზუსტად ფარავდა სწავლის შედეგებს და უფრო მისაღები იქნებოდა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ №345 დადგენილებაში წერია, რომ ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში მუშაობის უფლება აქვს მხოლოდ ვეტერინარ-ტექნიკოსს, ამიტომაც ჩაამატეს ფრაზა „ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში“, რაც გულისხმობს მხოლოდ ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში კონსულტირებას.
ორგანიზაციის დირექტორმა განაცხადა, რომ ვეტერინარიის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში სამუშაოდ არ მიდიან, შესაბამისად იბადება კითხვა, რადგანაც დადგენილებაში წერია, რომ ასეთ პოზიციებზე უნდა დასაქმდეს ვეტერინარ-ტექნიკოსი, მაშინ საიდან უნდა მოვიდნენ ასეთი კადრები, ვინაიდან ბაზარზე არის ასეთი კადრების დეფიციტი. საჭიროა კადრი, რომელიც ფაქტობრივად არ არის. მან დასძინა, რომ ორგანიზაციამ მარეგულირებელ ორგანოს მიმართა წერილით, საიდანაც მიიღეს პასუხი, რომ მარეგულირებელი ორგანო არ ეწინააღმდეგება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ პროგრამა იქნება სხვა სახელწოდებით, კურსდამთავრებულები ვერ დასაქმდებიან ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოო-მაღაზიებში.
მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ რადგანაც არსებობს ეს დოკუმენტი, რაშიც, რა თქმა უნდა, ორგანიზაცია არ არის დამნაშავე, საბჭომ უნდა „გააპრავოს“ ის ჩანაწერი, რაც არის დადგენილებაში. მან დასძინა, რომ სანამ ასეთი ჩანაწერი გაჩნდებოდა დადგენილებაში, უნდა გაეანალიზებინათ გონივრულად. თუ სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სინამდვილეში ეს პროგრამა არის კონსულტანტი, და არა ვეტერინარ-ტექნიკოსი, იმისათვის რომ საკადრო კრიზისი არ შეიქმნას, ვინც ამ პროგრამას გაივლის, ის ფუნქცია შეასრულოს, რაც ჭირდება ბაზარს, ეს გასაგებია, თუმცა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა. მაგრამ თუ არის მარეგულირებელი ორგანოდან წერილი პროგრამის

განხორციელების თაობაზე, საბჭო ვალდებულია გაითვალისწინოს მათი მოსაზრება, მაგრამ რეალურად სიმართლე რომ ითქვას, აღნიშნული პროგრამა არ ამზადებს ვეტერინარ-ტექნიკოსს, ეს არის კონსულტანტი. სამწუხაროა, რომ გაუაზრებელი ჩანაწერის გამო საბჭოს უწევს ამ ჩანაწერის „გაპრავება“. რა თქმა უნდა გარემოება გასათვალისწინებელია ბიზნესის კუთხით, თუმცა საბჭო იხილავს აღნიშნულ პროგრამას განათლების კუთხით რამდენად მისაღებია ასეთი სახით პროგრამის განხორციელება.

საბჭოს წევრები დაეთანხმნენ მარიკა ზაქარეიშვილის მოსაზრებას პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ აღნიშნა, რომ როგორც ლაბორატორიის თანამშრომლის შემთხვევაში, აქაც დადგენილება მკაფიოდ ითხოვს, რომ ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში უნდა იყვნენ დასაქმებულები ვეტერინარ-ტექნიკოსები, უნდა მოხდეს ამასთან დაკავშირებით სახელწიფოსთან კომუნიკაცია, არსებობს სტრუქტურული დანაყოფი, სადაც შესაძლებელია გავლილი იქნას ეს საკითხი. მან დასძინა, რომ შეუძლებელია ამ საკითხის საბჭოზე განხილვა და გადაჭრა, ეს ქმნის სწორედ პრობლემას, და ამით საბჭოს მხრიდან შეიძლება დაინერგოს ძალიან ცუდი პრაქტიკა, რაც პირდაპირ კანონდარღვევისკენ იქნება მიმართული.

თეა გულუამ განაცხადა, რომ ისიც ეთანხმებოდა კოლეგებს და დასძინა, რომ ვეტერინარები პროფესიულ განათლებაში მზადდებოდნენ მანამ, სანამ რეგულირებადი გახდებოდა ეს პროფესია და ასოცირების ხელშეკრულებამ მოიტანა სწორედ ეს მოთხოვნა, რომ ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში უნდა იყვნენ დასაქმებულები ვეტერინარ-ტექნიკოსები, ძალიან კრიტიკულ სიტუაციაში არის ზოგადად ქვეყანა, იმიტომ რომ თუკი ექიმი ადამიანს მკურნალობს, ვეტერინარ-ტექნიკოსი არის სერიოზული პასუხისმგებლობა, ზრუნვა როგორც ცხოველის ჯანმრთელობაზე, ასევე ადამიანის ჯანმრთელობაზეც, მხოლოდ შინაურ ცხოველებზე ხომ არ არის საქმე, აგრარული მიმართულებითაც არის სერიოზული დეფიციტი, ძალიან დიდი პრობლემაა ეს ქვეყანაში, დისკუსია ამასთან დაკავშირებით დაიწყო 2017 წლიდან, მანამდე ნებისმიერს შეეძლო ვეტერინარი მოემზადებინა, ნამდვილად არის ეს დეფიციტი, მაგრამ ამ დეფიციტს ასეთი შემოვლითი გზებით რამდენად ეშველება, სათუოა. იხურება რეგიონები იმის გამო, რომ არის გავრცელებული ბრუცელოზი, ჯილეხი და სხვ. მისასალმებელია, ის რომ რეგულირებადი გახდა ეს პროფესია. პროფესიულმა კოლეჯებმა, მაგ. ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა, სსიპ - კოლეჯმა „აისმა“ დაიმატა ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე, გორში - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში არის შესაძლებლობა რომ მომზადნენ ვეტერინარები, განსაკუთრებით ქალაქის ვეტერინარიის კუთხით არის დიდი მოთხოვნა, თუმცა მან დასძინა, რომ დათმობაზე წასვლა არ იქნება სწორი, იმიტომ რომ შეიძლება საერთოდ საქმე გაფუჭდეს.

მან ასევე ყურადღება გაამახვილა ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილ მსმენელთა ზღვრულ რაოდენობაზე და აღნიშნა, რომ 50 მსმენელის მიღება ერთდროულად, რომელიც ფაქტობრივად იქნება კონსულტანტი და არა ვეტერინარ-ტექნიკოსი პროგრამის მიზნიდან და შედეგებიდან გამომდინარე, მათ ვერ ექნებათ ისეთი განათლება, რაც ვეტერინარ-ტექნიკოსს მოეთხოვება, ნამდვილად არის დეფიციტი და კრიზისი ამ მიმართულებით, თუმცა ერთბაშად 50 კურსდამთავრებულის შეშვებით ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში ეს საქმე ვერ მოგვარდება.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა მიმართა ორგანიზაციის დირექტორს, რომ რა თქმა უნდა ეს ყველაფერი გასაგებია, თუმცა მიაჩნია, რომ სახელწოდებაში ვეტერინარ-ტექნიკოსი არ უნდა ფიგურირებდეს, ვინაიდან ეს არის შეცდომაში შემყვანი. სხვა სახელწოდებით, მაგ. ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში კონსულტანტის სახელით შესაძლებელია ეს პროგრამა განახორციელოს ორგანიზაციამ.

საბჭოს წევრი ნინო შუბითიძე დაეთანხმა ამ მოსაზრებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რომელი წლიდან არის შესული ძალაში №345 დადგენილება ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების

საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ დადგენილება 2018 წლის 28 ივნისიდან არის ძალაში.
სიტყვა ითხოვა პროგრამის განმახორციელებელმა პირმა თეა ოშხერელმა, მან განაცხადა, რომ დადგენილებაში განმარტებულია ვეტერინარი-ტექნიკოსი, როგორც პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს უმაღლესი ან პროფესიული განათლების დიპლომი. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციის დირექტორმა უკვე გარკვეულწილად ისაუბრა პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ განმახორციელებელი პირი არის აღმასრულებელი და ახორციელებს ვეტერინარული კლინიკების, ვეტაფთიაქების კონტროლს, გარკვეულია ამ სფეროში. როგორც მან აღნიშნა, ძალიან დიდი პრობლემაა ვეტერინარებთან დაკავშირებით, ვინაიდან ვეტერინარები, როგორც წესი, მოიაზრებიან როგორც ფართო მცნების, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არის ვეტერინარი-ტექნიკოსების დეფიციტი, აქ აღინიშნა, რომ ეს პროფესია არის მილევადში, და იმან, რომ ძალიან ბევრი ვეტერინარული კლინიკა და აფთიაქი გაიხსნა, როგორც ამ საკანონმდებლო დოკუმენტის აღმასრულებელი, ვეტაფთიაქებში შემოწმების დროს, დგება ისეთი ფაქტის წინაშე, რომ მომსახურე პერსონალი არის ისეთი ადამიანი, რომელსაც საერთოდ არა აქვს არავითარი განათლება ვეტერინარიის და ფარმაცევტული კუთხით. სწორედ ასეთი არაკომპეტენტურობა პრობლემას ქმნის ზოგადად ამ სისტემაში.
მან დასძინა, რომ ამჟამად დასაქმებულმა ადამიანებმა არ იციან, თუ რას ნიშნავს ლოდინის რეჟიმი, ანუ არ იციან, რომ გარკვეული პრეპარატების მიღების შემდეგ არ შეიძლება რძის მიღება და ა.შ., სწორედ ეს ვეტერინარ-ტექნიკოსი, რომელიც უნდა აღიზარდოს, თუმცა სახელწოდებასთან დაკავშირებით მათაც ჰქონდათ გარკვეული მოსაზრება, რომ იყოს ვეტერინარ ფარმაცევტი, ან ფარმაცევტის ასისტენტი, უფრო მისაღები იქნებოდა, თუმცა ასეთი სპეციალობა სამწუხაროდ არ არის დადგენილებაში.
ასევე საყურადღებოა, ის ფაქტი, რომ ამ დადგენილების მესამე მუხლი ვერ ამოქმედდა, კერძოდ
მუხლი 3
1. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების“ პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2018 წლის პირველი სექტემბრიდან.
2. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების“ პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.
მარიკა ზაქარეიშვილი ისევ შეეხო იმ საკითხს, რომ დადგენილებაში განმარტებულია შესაბამისი დოკუმენტის მქონე დიპლომის ან სერტიფიკატის მქონე ადამიანი, თუმცა არ ჩანს განმარტება იმის შესახებ, თუ ვინ არის ვეტერინარ-ტექნიკოსი, თუ განმარტებული იქნებოდა რა ფარგლებში მოქმედებს ვეტერინარ-ტექნიკოსი, რა არის მისი კომპეტენცია, ადვილი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება, თორემ გასაგებია ის, რომ ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში უნდა იყოს დასაქმებული პირი, რომელიც კომპეტენტური იქნება. როდესაც ხდება პირის მომზადება 16 კვირის განმავლობაში, არის თუ არა ეს პირი ვეტერინარ-ტექნიკოსი, სად არის კაზუსი, თუ უფრო მეტია, მაშინ რა დამატებითი ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეს ვეტერინარ-ტექნიკოსს? ხომ არ აჯობებდა პროგრამას დამატებოდა ვეტერინარ-ტექნიკოსისთვის საჭირო უფო მეტი ცოდნა და ხანგრძლივობა გაზრდილიყო.
თეა ოშხერელმა განაცხადა, რომ არის ვეტერინარ-ტექნიკოსის ჩარჩო დოკუმენტი, სადაც არის განმარტებული ვეტერინარ-ტექნიკოსის კვალიფიკაცია და შესაძლებლობები, რა უნდა იცოდნენ. ფართო პროფილის ვეტერინარ-ტექნიკოსმა უნდა იცოდეს ცხოველთა მოვლა, კვება, ცხოველების დაავადებებს უნდა იცნობდეს, მაგ, უნდა შეეძლოს ფერმაში ან კლინიკაში დაავადებების ამოცნობა და შესაბამისად ამ ინფორმაციის მიწოდება ვეტერინარისთვის, ვეტერინარის დახმარება პრე და პოსტ ოპერაციულ პერიოდში. მან დასძინა, რომ მთლიანად ვეტერინარ-ტექნიკოსის სამართავია ცხოველი ოპერაციის შემდეგ ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ. ასევე, დახმარება ოპერაციის დროს, მას ასევე შეიძლება გარკვეულწილად მიენდოს ანესთეზიის მართვა, ანესთეზირება არა, თუმცა გარკვეული

პარამეტრების ინფორმირება/ზედამხედველობა, რასაც ოპერაციის დროს ვერ ახერხებს ვეტერინარი, ასევე გარკვეულწილად ფერმის ვეტერინარებისთვის დახმარება. ნანი დალაქიშვილმა დამატებით განმარტა, რომ დღეისათვის მოქმედია ვეტერინარიის ჩარჩო დოკუმენტი, რომლის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში. ვეტერინარ-ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ამ ეტაპზე არ არსებობს და ასევე, სწავლის სფეროების კლასიფიკატორშიც ვეტერინარია ფიგურირებს და არა ვეტერინარ-ტექნიკოსი.
მარიკა ზაქარეიშვილმა განმარტა, რომ ეს მაინც არ არის ვეტერინარ-ტექნიკოსი.
პროგრამის განმახორციელებელმა თეა ოშხერელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია 2 მოდულის კომპილაციით, პირმა იცის კონკრეტულად ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ დასაქმების ადგილთან, იქ სადაც ექნება დასაქმების შესაძლებლობა სრულად განახორციელებს ვეტერინარ-ტექნიკოსის ფუნქციას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ადამიანი მიიღებს იმდენ ინფორმაციას, რომ ზუსტად ეცოდინება თუ რა უნდა გააკეთოს ვეტაფთიაქში. ვეტერინარიც რომ იყოს, აფთიაქში დიაგნოზს ვერ დასვამს და ვერც მკურნალობის სქემას ვერ შეადგენს, რა თქმა უნდა, თუ არ ნახავს კლინიკაში. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე პირმა უნდა შეძლოს ვეტერინარულ აფთიაქში და ზოომაღაზიაში მომხმარებლისთვის დახმარების გაწევა ვეტერინარულ პრეპარატების, ცხოველთა საკვების და მოვლის საშუალებების შერჩევასთან დაკავშირებით, ვეტერინარული პრეპარატების, ცხოველთა საკვების ორიგინალური პირველადი შეფუთვების და კანონმდებლობით დაშვებული სამკურნალწამლო ფორმების მცირე პარტიებად დაფასოება, მომხმარებლისათვის კომპეტენციის შესაბამისად რჩევის მიცემა ვეტერინარულ პრეპარატის გამოყენების და ცხოველის კვებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე ის ამ ყველაფერს ფლობს და აფთიაქში რაც უნდა განახორციელოს ვეტერინარ-ტექნიკოსმა სრულად არის ინფორმირებული, ფართო გაგებით ვეტერინარ-ტექნიკოსი არ არის, მაგრამ იმ კონკრეტულ ლოკაციაზე სრულად შეუძლია შეასრულოს ის ვალდებულებები, რომელიც მას ჭირდება ვეტერინარულ აფთიაქებში/ზოომაღაზიებში.
ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა თეა ოშხერელს და დასძინა, რომ ხომ არ ცდებოდა, როდესაც საუბარი იყო 2018 წლის №345 დადგენილებაზე ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, სადაც ცალსახად წერია, რომ ვეტერინარულ აფთიაქში საქმიანობა უნდა განახორციელოს ვეტერინარ-ტექნიკოსმა, ანუ ტექნიკოსზეა საუბარი, მაშინ როდესაც საკვალიფიკაციო პროგრამაზე საუბრისას, ახსენეთ ვეტერინარ-ტექნიკოსი, ჩარჩო დოკუმენტში არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში, იქ არ წერია ტექნიკოსი, არ არის ამ ტერმინის დაზუსტება, ხოლო ის ფუნქციები, რაც იქნა აღწერილი, მოიაზრებს ვეტერინარის დამხმარეს სხვადასხვა პროცედურებში, ვეტერინარიის პროგრამა საკმაოდ ვრცელი პროგრამაა თავისი კლინიკური მოდულებით, საკვალიფიკაციო პროგრამა სრულად ფარავს იმ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც თავისთავად რეგულირებად პროფესიად აქცევს ვეტერინარიას, რაც შეეხება ამ ზოომაღაზიაში დასაქმებულ პირს, კონსულტანტს, მთავრობის დადგენილებაში წერია, რომ ეს პირი უნდა იყოს ვეტერინარ-ტექნიკოსი, ამიტომ ამ პროგრამას ასე უნდა ერქვას, უფრო ზუსტი იქნება ეს სახელწოდება, კონსულტანტი უფრო მეტ დაბნეულობას გამოიწვევს, მითუმეტეს დადგენილებაში წერია, რომ პირი უნდა იყოს ვეტერინარ-ტექნიკოსი, ასე რომ ის შედეგები რაც აღწერილია ამ მოკლევადიან პროგრამაში, რადგანაც არც არის საკვალიფიკაცო პროგრამაში მისი დუბლირება, გასაგები იქნება დამსაქმებლებისთვისაც, სრულად თუ გავა ამ სწავლის შედეგებზე, მიიღებს იმ ცოდნას და უნარებს, რომელიც მისცემს საშუალებას დასაქმდეს ვეტაფთიაქებში.
ამასთან დაკავშირებით თეა ოშხერელმა განაცხადა, რომ სხვა კლინიკური საკითხები რომ ყოფილიყო პროგრამაში, ეს უკვე გაცდებოდა აფთიაქში დასაქმებული პირის კომპეტენციას.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვეტერინარ-ტექნიკოსის პროგრამა უფრო ფართო შედეგებს მოიცავს, და მაგალითად მოიყვანა მოკლევადიანი პროგრამა, რომელიც ხორციელდება ქ.

ქუთაისში, ა(ა)იპ პროფესიული სწავლების და და ტრენინგების ცენტრში. მან დასძინა, რომ ისინი ამზადებენ ვეტერინარ-ტექნიკოსებს, შესაბამისად იმ პროგრამაში სწავლის შედეგები უფრო მეტია, შესაბამისად, ისინი იქნებიან ვეტერინარი ექიმის დამხმარეები და პროგრამა შედგენილია ძირითადად ფერმერული მეურნეობის მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იმ პირებს, რომლებიც ვეტერინარ-ტექნიკოსის პროგრამაზე სწავლობენ, შეუძლიათ თუ არა ვეტაფთიაქებში დასაქმება, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი.

მსჯელობის დასრულების შემდეგ საბჭოს წევრები გავიდნენ სათათბიროდ.
სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ გაზიარებულ იქნა მარეგულირებელი ორგანოდან მიღებული წერილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, მისი აზრით სისტემა ემსახურება იმას, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში, ხელი შეუწყოს ბიზნესს, რომ გაჩნდეს ბაზარზე მორგებული კადრები. მან დასძინა, რომ გაეცნენ კიდევ ერთხელ ყურადღებით უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოგზავნილ წერილს, ვარაუდობდა, რომ წერილი საბჭოს მისცემდა საშუალებას მიეღო დადებითი გადაწყვეტილება, თუმცა წერილი არის ზოგადი ხასიათის და საბჭოს აკისრებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ დარგის ექსპერტიც ადასტურებს, რომ კონკრეტული სწავლის შედეგები ნამდვილად ჭირდება ვეტერინარულ აფთიაქში დასაქმებულ პირს, თუმცა წარმოდგენილი სწავლის შედეგები შინაარსობრივად არ არის შესაბამისობაში მარეგულირებელ აქტთან და ვეტერინარ-ტექნიკოსთან, ამიტომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე ორგანიზაციას მიეცეს ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ამ ვადაში მარეგულირებელ ორგანოს გაეგზავნება წერილი საბჭოს სახელით, უფრო კონკრეტული პასუხის მისაღებად, რაც დაეხმარება საბჭოს მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფესიული განვითარების აკადემიური ცენტრისთვის „ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი“ /01620/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს პროფესიული განვითარების აკადემიურ ცენტრს (ს/კ: 40084902)

განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ვეტერინარული აფთიაქის/ზოომაღაზიის ვეტერინარი ტექნიკოსი /01620/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 12:58 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01591	კიბერუსაფრთხოება	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	24	ქართული	40	ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6